

აპოლონ წულაძისა

მთელი გარე

კუთხი



თბილისი
2019

წინასიტყვაობა

გავკადნიერდები და ჩემი დიდი წინაპრის ამ
ნაწარმოებს შესავალს გაუჟღვეთებ.

ახალი წელი საქართველოში წლის სხვადას-
ხვა დროს აღინიშნებოდა. IV სუკუნეში 6 აგ-
ვისტოს, VII საუკუნიდან სექტემბერში, IX სუ-
კუნის 20-იანი წლებიდან მარტში, ხოლო XIV
საუკუნიდან იანვარში ზეიმობენ.

მართლმადიდებლური ეკლესია პირველ იან-
ვარს (ენკენისთვე) წმინდა ბასილი დიდს იხსე-
ნიებს და ახალ წელს ხშირად „ბასილის
დღეს” უწოდებდნენ.

გურიაში - კალანდა (რომაული კალან-
დრა, სულხან-საბას ლექსიკონი) და „დამ-
დაგი“ ახალ წელს ნიშნავს. რომელსაც განსა-
კუთრებული მნიშვნელობით აღნიშნავენ. „დამ-
დაგის წინა დამით ერთის ყვირილით, ლოცვით
და თოფის ცემით მიეგებებიან და ახლაც რო-
ცა ომიანობაა და მტრის ჯარი კარზედ გვიდ-
გას, არ დაივიწყეს გურულებმა ეს ჩვეულება,
რის გამოც ახირებული მდგომარეობა წარმოს-
დგა. წარმოიდგინეთ ის დრო, როცა ბინდი ეც-
ემა და დღე და დამე ერთმანეთს შორდებიან,
მასთან ძლიერი მოხშირებული წვიმა, როცა
კაცს გარეთ გამოსვლაც კი ეძნელება, ამასთან
დაურთევით ერთი ვაი კიჟინა და ვაის და უის
ყვირილი და თან აჩქარებული თოფის ცემა
ყოველ სოფელში და ყოველ ოჯახში ერთი და
იმავე დროს და მაშინ მიხვდებით თუ რა ახირ-

ებული ფეთება დაქმართება იმათ, ვინც ამ ხალხის ჩვეულება არ იცოდა...”. (გაზეთი „ივ-ერია” ოზურგეთი, 1877 წ. №29)

გურულს ყველა დღესასწაული უყვარს, მაგრამ კალანდას და აღდგომას არაფერი ურჩევნია. აპოლონ წულაძეს კალანდისთვის მზადება სრულად აქვს აღწერილი „ეთნოგრაფიული გურია“-ში, (გვ. 68-69).

შობა - ახალი წლის სიმბოლოდ აღთქმული მარად მწვანე ნაძვთან ერთად გურიასა და სამეგრელოში ჩამოყალიბდა ტრადიცია – ახალი წლის დეკორატიულ სამშვენისად „ჩიჩილაკი“ დაედგათ.

პირველი ჩიჩილაკი გურიაში, სოფელ ბასილეთში დამზადდა, სადაც ახალ წელს დღესაც, ნაძვის ხის ნაცვლად, ყველა ოჯახი თხილის დეროსგან დამზადებული ჩიჩილაკით ხვდება.

 ჩიჩილაკი წმინდა “ბასილის ფაფუკი წვერებია” ამით ხაზს უსვამენ სწრაფვას – წმინდა ბასილისებური სიკეთის, სიუხვისა და ღვთისმოსაობისაკენ. ჩიჩილაკი მზადდება ერთი მეტრი სიგრძის თხილის მომცრო ცეცხლზე გახურებული ჯოხისგან, ჯერ კანს გააცლიან, გაასუფთავებენ შემდეგ მახვილი დანით იწყებენ წვრილი უწყვეტი ბურბუშელის აცლას ისე, რომ ბურბუშელას თითქმის ჯოხის მეორე ბოლომდე გაიტანენ, აპეცავენ და ძირს დაუშვებენ.

„წვერების“ თავმოყრის ადგილას ჩამოაცვამ-
ენ და მიამაგრებენ მწვანე ფოთლებით და
კურკანტელას წითელი ნაყოფით მოწნულ
რგოლს, ზემოდან უველით შეზავებულ გულა-
მოჭრილ სპეციალურ კაერცხს, „გოკელს“. ჩი-
ჩილაკის წვერზე ჯვარის სახედ ჩასვამენ
ჯოხს, რომელთა ბოლოებზე ამაგრებენ ბროწე-
ულს ან ვაშლს და გამომცხვარ სფერულ
კვერს „უვინჩილას“. ჩიჩილაკს წყალკურთხევამ-
დე ინახავენ, ნათლისდების წინა დღეს კი აუც-
ილებლად წვავენ და ფერფლს წყალს ატანენ გა-
სული წლის უსიამოვნებებთნ ერთად.

მთავარი „კალანდის“ შეხვედრის რიტუალია:
მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგებო-
და და სრულდებოდა ლოცვა „დილის ცეც-
ხლის გალოცვის“. ჩემმა ბაბუამ ეგნატე ქვეით-
აიამ (სოფ.მაკვანეთი) როდესაც ზაფხულის არ-
დადებებზე მე მას ჩავუტანე წიგნი „მომდერა-
ლი ყუთი“ წაიკითხა და შვილიშვილებს მოგ-
ვიყვა „გალოცვის“ ტრადიცია“ ბაბუის მონაყო-
ლი ზუსტად ემთხვევა ოზურგეთის მუზეუმის
ხელნაწერთა ფონდის ჩანაწერს (საქმე №230)

ქვემოთ მოგვყავს „მომდერალი ყუთი“-ს
პირველი გამოცემის ავთენტური და გურული
კილო კავები

თენგიზ ცინცაძე

საყაზვილო ბიბლიოთეკა "ნათელა" №1



წიგნის მაღაზია "შრომა"-ს
გამოცემა.

აპალონ წუდაძეს.



სტამბა ამხ. "შრომა" ქოშურგეთი.

1912 წ.

საყმაფვილო ბიბლიოთეკა "ნათელა" №1


მომღერალი უწინი

აპოლონ წულაძისა.



წიგნის მაღაზია "შრომა"-ს გამოცემა.

სტამბა აშ. "შრომა" ქოზურგეთი.
1912 წ.



მომღერალი ქუთი

I

ნენა, ნენა, ჩემი ძუძუაი, მითხარი კიდევ რამდენი დღეა შობამდი?

- დღეს რა დღეია შვილო?
- დღეს ოთხშაბათია, ნენა!
- ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი, ამ შაბათის სწორი შობაა, შვილო; ნეტაი მას შვილო ვისაც აფერი აკლია და მშვიდობით გუუთენდება, ჩვენ კი რას გვიხარია, რა გვაქვს სასიხარულო, ჩვენი მარჩენალი, ჩვენი პირში სულის ჩამდგმელი, უბედური მამაშენი ციმბირშია, შვილო, გადასახლებული, ყოვლის შემძლე ღმერთი არ გაახარებს ჩემს არ გამხარებელს, ღვთის მშობელი დედა არ გაუთენებს არც შობას და არც კალანდას, ვინც მე და ჩემს თავმონაწიერ ბაღნებს არც ერთი არ გაგვითენა.

- სუ ნენა, წყევლა დედაბრის საქმეა. არ გცხვენია, სულ იმას გვარიგებ, არ დაიწყევ-

ლოთ, გლახა არეგაციზა თქვათო და შენ ქე
იწყევლები?

- მეც არ მინდა ჩემო სიცოცხლევ, დევიწ-
ყევლო და ღმერთს შევცოდო, მარა გული, იგი
ძაღლის არჩივი და ადრე მიწა დასაყრელი გუ-
ლი, არ მიჯერა. ღმერთო, შენი სახელის ჭირი-
მე, ნუ მიკალონებ და თუ ღირსი არ იყოს, ჩე-
მი წყევლა ლოცვათ მიგვარე, ისე, ღმერთო
ძრიელო, ამას გევედრები, შობის მაგიერ, შავი
ყველიერი გაუთენე იმას, ვინც მე ჩემს ქმარს,
ჩემი ბაღნების მარჩენალს, მომაშორა და ქა-
ლობაში გამომწყვიტა; სა ხარ ახლა, ჩემო ნი-
კო, ჩემო ცხოვრებავ, რაფერ სიცოცხლით მო-
მიკლეს შენი თავი, უშენობით აქეთ მე ვარ
გამწარებული-გაძაღლებული და იქეთ შენ, მე
მაინც ჩემს ქვეყანაში ვარ, ჩემი დასაგსები
თვალებით ჩემს მშიერ ტიტველ
ბაღნებს, მაინც უმნზერ, სენ კი, ჩემო ცხოვრე-
ბავ, ჩვენი ქვეყნის მზესაც ვერ ხედავ! ვაი ჩემს
დღეს, ვაი ჩემს მოსწრებას!

- არ გცხვენია, ნენა, მაგიზა, გაჩუმდი
თვარა მეც ვიტირებ, იცოდე! გაჩუმდი, შენი ჭი-
რიმე, პაწე ბაღნები არ შემოგვესწრას.

- კი, შვილო, კი, ნენა, გავჩუმდები; ცოდ-
ვაა ცოცხალი ადამიანი ვიტირო, იქნება ქე
ქნას ღმერთმა სასწაული და გვიჩვენოს ცოც-
ხალი უბედური მამაშენი!

ასეთი ამბავი იყო ერთ ქრისტეშობის თვის
წვიმიან ქარიან დღეს გურიის ერთ მომწვარე-

თის ქოხში. ეს ქოხი (ანუ ფაცხა) მეტისტეტად დარიბულად იყო მოწყობილი, ყვალაფერზე ეტყობოდა, რომ დროებით სახელდახელოდ იყო გაკეთებული და ხიზანს უფრო შეეფერებოდა, ვიდრე მკვიდრ მოსახლეს. მისი ოთხი პატელი თხმელის წნელისაგან იყო დაწნული და რომ შიგ მყოფნი სიცივისაგან დაფარულნი ყოფილიყვნენ, სიმინდის ჩალით შემოებუდნათ. ამ ქოხის მნახველი ადვილად მიხვდებოდა, რომ წინად სასიმინდე (ნალია) ყოფილა და მის პატრონს შემდეგ ქვეშ დროებით თავშესაფარი გაეკეთებინა.

ქოხის პატრონი ნიკო მიმხვდარაძე წინად არც ისე დარიბი იყო, მაშ, რა მოუკიდა? რამ გააპარტახა ერთ დროს საშუალო შეძლების ოჯახი? ზოგიერთი მის ავყია მეზობლებისათვის რომ გეკითხა, ასე გეტყოდნენ:

- ახია მაზე, რაც დაემართა! რეიზა არ იცოდა, ჭიაყელა რომ გველს ეზმანებოდა, რომ გაწყდებოდა; იგი რავა ვერ მიხოა იმხელა კაც-მა, იგი ქვეყანას ვერ გადააბრუნებდა. რავაც ხელის თითები არ გასწორდება, ისე უნცროს-უფროსობა არ მეისპება – დაწვის და გადასახლების დირსი კი არა, ვარესს ემართლებოდნენ, მარა კიდევ მისი სული ლოცოს, ვინცხამ სიცოცხლე აჩუქა.

ზოგს კიდევ ეცოდებოდა და გაციმბირებული ნიკო და მის სახელსაც პატივისცემით და თანაგრძნობით იგონებდნენ: ასე იტყოდნენ,

როცა საიმედო მეზობლები ერთად დარჩებოდნენ – ჩვენ რომ ყველაი მასავით შეგნებული და ნამუსიანი ვყოფილიყავით, ჩვენი საქმე წაღმა იქნებოდა, ჩვენი ნაშრომი ჩვენვე შეგვრჩებოდა, მაგ ფერი კაცის გულიზა ლმერთმა მომკლას

რასაკვირველია ასეთი თანაგრძნობით მომგონე ნიკოს ბეგრად ნაკლები პყავდა, ვიდრე მაძაგებელი, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, უნიკოოთ დაცემულ მის ოჯახს ნივთიერ-სულიერ თანაგრძნობას მაინც ეს მისი ნაამსანაგრები უწევდნენ, ზოგს მათგანს კიდეც ეშინოდა აშკარად მიხმარებოდა ყანაში ან სხვა რამ საოჯახო საქმის გაპეტებაში ნიკოს ცოლს მართას; ეშინოდათ ვაი თუ ავყია მეზობლებმა შაირი რამ მოგვდვან და ჩვენც ხათაბალაში გაგვხვიონო. ამისთვის ჩუმად აძლევდნენ შემწეობას ობლად დარჩენილ ნიკოს ოჯახს, ზოგი ფულით და ზოგი სურსათით. ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ დილით მართას ეზოში დამე ჩუმად მოტანილი შეშა უნახავს, ან ქოხის წინ ტომრით სავსე სიმინდი. თუ ვისმა მადლიანმა მარჯვენამ გაიკითხა მართას უმწეო ოჯახს, ეს მართასთვის ახლაც საიდუმლოა. ყოველივე ეს ისედაც მხენე მართას სულიერად უფრო ამხნევებდა. სხვათა შორის, ანუგეშებდა ისიც, რომ მისი საყვარელი ამხანაგი ნიკო დასჯილი იყო არა ქურდობა-აგებაცობისათვის.

მართამ მტკიცედ გადასწყვიტა დამწვარი ოჯახი არ გაეცივებინა და შვილებისათვისაც შეძლებისდაგვარად სწავლა მიეცა. დღე-და-დამ მხნეობდა, წელებზე ფეხს იდგამდა ეს ოდესმე ქმრისაგან განებიგრებული დედაკაცი. ახლა მამაკაცის საქმესაც არ თაკილობდა. უფროსი ქალ-ვაჟი სოფლის სკოლაში მიაბარა და, მის-და სასიხარულოდ, ორივე კარგად სწავლობდა. უფროსმა ვაჟმა კარლომ სკოლაში ორის თვის ყოფნის შემდეგ საყვარელ მამას საკუთარი ხე-ლით დაწერილი მოკითხვის ბარათიც-კი გაუგ-ზავნა და მით შორეულ ცივ ქვეყანაში მამას მშობლიური გული გაუთბო და ანუგეშა.

კარლო ძლიერ ბეჯითი და მუყაითი ბავში იყო, თუმცა ახლა ცხრა წლის მეტისა არ იყო, მაგრამ დედას ბევრ რამის გაკეთებაში შველო-და; მართალია მამის მოშორება იმასაც ძლიერ აღონებდა, მაგრამ თავის დარღს დედას და თავის პატარა დასა და ძმებს არ უმხედვდა, ყოველთვის მხიარული სახით ეჩვენებოდა და ცრემლს უმალავდა. სულ იმის ცდაში იყო, თვით მოეკლო ყველაფერი, ოდონდ კი პატა-რებს არაფერი მოჰკლებოდა. ყაირათობასაც ეწეოდა, მოვიდოდა თუ არა სკოლიდან, ფეხთ გაიხდიდა, ტანთ გამოიცვლიდა და, სადილის ჭამის შემდეგ, რაიმე საოჯახო საქმეს მოჰკი-დებდა ხელს; როცა საქმე დაღალავდა, ახლა გაკვეთილებს ჩაუჯდებოდა საღამოს ძროხას მოსძებნიდა და წვრილ-ფეხს დაუბუდებდა.

- პატარაა მარა სწორედ ცეცხლია! ნახავ, თუ მაგან არ წამოაყენოს წაქცეული ოჯახი! – იტყოდნენ კარლოს შემყურე მეზობლები.

ზემო აღნიშნულ დღესაც კარლო სკოლიდან ახალი დაბრუნებული იყო, იჯდა ჯორკოზე თხმელის შეშის ცეცხლის პირას და სველ ტანისამოს იშრობდა, თან დედას ესაუბრებოდა:

- ნენა, მე რომ გევიზრდები, ვეცდები ბაბაის (მამის) ფერი კაცი დავრჩე მეც მინდა მასავით პატიოსანი კაცი გამევიდე, ქვეყანას რაცხა წავადგე.

- სუ შვილო, რა დროს შენი მაგის ფიჭრია! შენ, ჩემო ჯუჯუა სწავლა მირე და რამე საქმეში ჩადექი, ამასობაში შენი დაი წამოიზრდება, იგი უნდა გაათხუო, პაწეი ძმანები უნდა გამოზარდო. შენ სამიიცლი, გენაცვალე, სხვა საქმიზა, შენ მამის მაგივრობა უნდა უქნა მის დატოვებულს.

- კი მარა, ნენა, ბაბაიც იმას არ მწერს; კარლო, აბა შენ იცი, ჩვენ დატიებულ საქმეს თქვენ უნდა ეპატრონოთ.

- ხო შვილო იგი ოჯახი მისი დატიებულია, ამიზა იწერება, ოჯახს მუუარე, თვარა რაცხა აბდლურ საქმეს, რომელიც შენ არ მოგესწრება, თავი შესწირო, ამას კი არ გწერს

- რაფერი ხარ, ნენა, აა? არ გრცხვენია მაგიზა? აბა, შენი აზრით, ბაბაი აბდალაი ყოფილა. კერ მოგართვი, ჩემი ბაბაი ძალიანი ჭკუია-

ნი იყო. შეგნებულ უძიხოდნენ, მარა შენ ფიქ-რობ, კარლო ბადანაია და აფერი ესმისო.

- სუ ჩემი ნენაია, ცეხლი მეკიდება გულზე, შობა მომავალია და მე ჯერ ბაღნებიზა ერთი არშინი ჩითიც არ მაქ ნაყიდი, ან ლვეძელი რე-ით გამოუცხოთ და ან კალანდა რეით გევითე-ნოთ. აცოცხლა დმერთმა ყველა ჩემი შემწე, მარა ყოლოვინ ხომ ვერ შემეწევიან, ყოლი-კაცს თავის მჯავრი აქ სხვაი დროი რომ იყოს, კიდევ კი, მარა ახლა სოფელი მთლად გამო-ხივბაკებულია! რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რომ აფერი ვიცი!..

მოსიყვარულე დადა-შვილი დიდ ხანს სა-უბრობდნენ ამ საგანზე. ორივე ცდილობდა გა-მოენახათ რამე წყარო, რითაც შეიძლებოდა მომავლის დახვედრა, მაგრამ ამაოდ. ვერაფერი მადანი ვერ აღმოაჩინეს მოსაღამურდა კიდეც. მეზობლისას მყოფი პატარებიც მოვიდნენ და დაღონებული ცეცხლს მიეფიცხენენ.

- ნენა ჩვენ იასოსას ვიყავით. იასო და მი-სი ცოლი ორივე ქალაქში იყო და ერთი დიდი ხურჯინი გატენილი მეიტანეს ფართლით. ყვე-ლა ბაღნებს ახლებს უკერავენ, - ამოოხვრით სთქვა პატარა, შვიდი წლის ქალმა კეკემ.

- ნენა, მეც მინდა ახალი ჭრელი ბლუზაი და წუდა, - ჩაერია ლაპარაკში კეპეზე უმცრო-სი ვაჟი ნოე.

- მეც მინდა ბიწო წითელი პაპუცი*) და პელანგი, - ზლუქუნით სთქვა პატარა სევრომ.

- ვაი შვილებო, დედა თქვენის ხორცი დაჭამა ძაღლებმა! - თავისთვის ჩაილაპარაკა მართამ.

- დედა-შვილი მწვავე ფიქრმა შეიძყრო ორივე იმის ფიქრში იყვნენ, თუ როგორ დაემოსათ ნახევრად შიშველი ბავშვები

- ნენა, ნენა, ნუ გეშინია ყველაფერი ბევრი გვექნება, შობასაც კარგათ გევითენებთ და კალანდას კიდევ უკეთესად იმფერი რაცხა გამახსენდა, რომ უთუოთ ბევრ ფარას ვიშოვნი. ერთ თუმანს მაინც კი ვიშოვნი, - სიხარულით და აღტაცებით წამოიძახა კარლომ.

- კაი ჩემი ნენაი, თითის სიგრძე ყაზილარმა სა უნდა იშოვნო ერთი თუმანი?

- კი ვიშოვნი, ნენა კი, მარა შენ ერთი საქმე უნდა ქნა. მე ფულს ბრავაწობამდე (შობის წინა დღე) ვერ ვიშოვნი. მერე ხომ ვერ მოასწრებ ტანსაცმლის შეკერვას, მანამდი, ჩემი ნენაი, ჩემი ძუძუაი, დაფაცურდი და შობა დილამდი ვინცხაიდან ერთი თუმანი ისესხე, შობა დილას უსიკვდილოთ მივცემდი - ა, ნენა, ჩემი ნენაი, ნუ გამაწბილებს! აქ კარლო მოეხვია დედას და მხურვალედ ჩაჰკოცნა.

- ყბას რეიზა იქცევ ნენავ, შობა დილას ვინ მოგცემს?

*)წითელი ჩუსტი

- ნენა, მე ალილოზე წავალ! – მტკიცედ წარმოსთქვა კარლომ.

- უი, შვილო დასტურ ქე მეგონა რაცხა! ალილოზე ერთ თუმანს რაფერ იშოვნი, დიდი გიშოვნია შენდა წილად მანათი ან ექვსი აბაზი, თუმანს შენ, ყაზილარი კი არა, დიდს გუჟჭქირდება ამ ქესატობის დროს.

- რეიზა არ მიჯერხარ, ოჯო, რომ არ ვიცი? ახლა შენ ფიქრავ, მე წავალ და ჩემხელა ბაღნებს წავიყვან გონია თუ? ჩიჩი ნენავ, ვერ მიხოთი! მე ალილოზე წევიტან ყველაზე უკეთეს მომდერლებს: ივლიანე კეჭაყმაძეს, დათიკო ბაბილოძეს და ვარლამ სიმონიშვილს.

- ვაი, შვილო რაფერ ტეულათაი ყაშმიერობ! აგენი თუ წავა ალილოზე, ფარას შენ რეიზა მოგცემენ, მათმა თავმა ქვაი არტყა თუ?

- ნენა ჩემი ძუძუაი, ნიკო ნუ მოგიკვდება, შენ ახლა იმას ნუ კითხულობ, რაფერ იქნება იგი საქმე. ბაბაი ნუ მოგიკვდება, ამას მე კი გავახერხებ, ოღონდ შენ შობამდე საცხა ფარა გააჩინე სასესხებლათ. საშობაო, ჩემი კუბო ნახე, თუ შობა დილას არ გიშოვნო ვალის გასასტუმრებელი.

- შენს მტერის და ავისმდომელის კუბო ვნახე, შვილო, შენ ჯვარი გწერია, სალავაოს, რეიზა ჩივი. კი, ნენა, კი შვილო, რაც უნდა დამემართოს, სუნთლა პირში სული რომ ამევირთვა, საშობაკალანდოთ ასე ხომ არ დაგტი-

ებთ? შენ იშოვნი თუ არ იშოვნი, მე მაინც კი
გავახერხებ რაცხას.

II

შობის წინა დღეა, ან როგორც გურიაში
ეძახიან ბრავაწობაა, ყველა ფუსფუსებს, ყველა
სადღესასწაულოდ ემზადება. მთელი უბანი
ხმაურობს, დიდრონები საქმიანობენ, პატარები
ყველაფერს დაუზარებლად სიამოვნებით ასრუ-
ლებენ, ყიუინობენ, მდერიან:

“ხვალ შობაა, ხვალ შობაა –
“ჩვენი მტერის დარჩობაა!”

სოფელი მომწვარეთი სამაზრო ქალაქს
ზედვე აკრავს, ამ სოფელშიც დიდ მზადებაში
არიან: კაცები შეშას ჩეხავენ ქალები ზოგი პუ-
რის ცომს ზელს, ზოგი კეცს ახურებს. აცხო-
ბენ სახვალიოდ სხვა და სხვა ზომის ღვედ-
ლებს, რომელსაც გულში უთავსებენ სამი
დღის გამხმარ მაგრად მოხარშულ კვერცხებს
და ჭყინტ ყველს; ზოგი ღვეძელი სასტუმროა
(სტოლის დასამშვენებლად), ზოგი საოჯახო
საჭმელი, ზოგი მეალილუეს საჩუქარი, ამაზე
პატარები კი მუცლის სალოცავად არის და-
ნიშნული. ეს პატარა ღვეძლები თითო ეკუთ-
ვნის ოჯახის თითოეულ წევრს, რომელიც
ვალდებულია საკუთრად შესჭამოს.

ჩვენი ნაცნობი მართაც ემზადება, შეძლე-
ბის და გვარად სადღესასწაულოდ; მართამ,
როგორც იყო, იშოვნა ერთი თუმანი და უყიდა

ყველა ბაგშვეს ახალი ტანისამოსი და ფეხთ-საცმელი, იყიდა აგრეთვე ორი ოყო პურის ფქვილი; ყველი, კვერცხი და საშობაოდ გასუ-ქებული ქათმები სახლში მოეხერხებოდა. დააცხო ლვეძლები: ერთი დიდი ლვეძლელი და ერთი პატარა მუცლის საღოცავი მის საყვა-რელ ნიკოს სახელზეც გამოაცხო, რასაკვირვე-ლია, ლრმად იყო დარწმუნებული, რომ მისი ხუთი წლით გადასახლებული ნიკო საშობაოდ შინ ვერ მოვიდოდა, მაგრამ ამით თავს ინუგეშ-ებდა და თან ჩვეულებას ასრულებდა. მართას შვილები გარს ეხვია და ყველა ცდილობდა მიშველებოდა, რითაც შეეძლო. პატარა სევრაც არ ცელქობდა, ხელში ეჭირა თავისი ახალი წითელი “პაპუცები” და გულში იხუტებდა.

კარლო დილიო ადრე რომ წამოხტა, მერმე სულ საქმეში იყო გართული, მაგრამ ცალი თვალი სულ მზისკენ ეჭირა და, როცა მზე გა-დაიხარა, მაშინ უთხრა დედას:

- ნენა, აბა, შენი ჭირიმე, მე აწი გამიშვი ქალაქში, ხელათ ჩევირბენ და ისევლე ქე ამეგ-ირბენ.

- წადი, შვილო, მარა, ჩემი ნენაი, ნუ დეიგ-ვიანებ, თვარა მჯავრით მოვატები, აა, აგი სამი კაპეიკი წეიდე და ორი კაპეიკის წმინდა სანთე-ლი იყიდე, კაპეიკის საკმელი.

კარლომ ხელად ტანთ ჩაიცვა ახალი ფანე-ლის ხალათი, ფეხთ – ახალი წუდა და თაგზე ყაბალახი კოხტად გადიკრა და ოდელიას სიმ-

დერით ქალაქისკენ მოჰკურცხლა. გზაზე გაუარა თავის განუყრელ ამხანაგს ნესტორს და ორივემ მხიარულის სიმღერით ქალაქში ჩაირბინეს – იყიდეს, რაც სასყიდი ქონდათ და მერე მიგიდნენ ქალაქის თავთან, კეთილ მოხუცთან. რომელთანაც კარლოს წინადვე პქონდა საქმე გარიგებული, როცა იქედან გამოვიდნენ, ერთ ხელში ეჭირა ჩითში შეხვეული პატარა ყუთი, მეორეს ქალალდის კოლოფში ჩადებული რაღაც ძაბრის მზგავსი; ორივეს სახეზე მხიარულება და აღტაცება ეტყობოდათ, თავიანთ ბარგს დიდის სიფრთხილით და მოწიწებით ეპურობოდნენ.

- ამხანაგო ნესტორ, შენ თვარ გეწყინება, უწინ ნენას მიუღლოცოთ ქრისტეს შობა, ხომ იცი რაფერ დამჯავრებულია, მერე შენსას მივიდეთ, შემდეგ სოფელი ჩამევიაროთ, ბოლოს კი ქალაქში ჩავიდეთ, ხომ იცი, იქინეი დიდკაცობაა და უფრო გვიან იძინებენ.

- სწორედ მეც მასე ვვიქრობდი ამხანიკო!
სოფელში უკვე სანთელი ანთებული იყო, როცა ჩვენი პატარები ესტუმრნენ მართას. ქოხის კარები მოხურული იყო, კარლომ ყუთი გახსნა, ძაბრი ამოიდო, მიაბა ყუთზე, თავის ადგილას ნემსი მიამაგრა, შემდეგ გასაღებით რამდენჯერმე გადაატრიალა და მომდერალი ყუთიც მზად იყო. – კარლომ ყუთს პატარა ფეხი გამოუწია, თვალთმაქც ყუთზე მრგვალი ფირფიტა შეინძრა და ხმამაღლა შემოსძახა;

-ივლიანე კეჭაყმაძე, ერთი ქრისტესშობის ალილო ბრძანებული ივლიანეს თხოვნის განმეორება არ დასჭირვებია და თავისებურ რიხიანი, სასიამოვნო ხმით მკვირცხლად შემოსძახა: - “აი ალილო ვართო! მოგილოცავთ ქრისტეს შობას, ღმერთმა მრავალს დაგასწროთო”. დამწყებ ივლიანეს დათიკო ბაბილონებმ მოძახილი უთხრა, ორივეს ვარლამ სიმონიშვილმა თავისი ძალუმი ბანი ჩაუგუგუნა და ამ რიგად მშვენიერი მაღალი, კეთილხმოვანი ალილო მართას ქოხის წინ გაისმა. ალილოს ხმაზე ბავშვებმა ყურები ცქვიტეს, მართას მართლა მოსარიდებელი უცხო მომლოცველები ეგონა, ტანისამოსი გაისწორა, სტუმრების მისაღებად მოემზადა, კარი გამოაღო და ზრდილობიანად დაიძახა:

- რადგანაც სიკეთე ქენით და კი მიკადრეთ. შინ მობრძანდით!

წამოიდგინეთ მისი გაოცება, როცა დიდობონ მეალილუეს მაგივრად, დაინახა მისი კარლო და თავის ამხანაგით. მომდერლები კი არსად სხანდნენ. ბავშვებიც გარეთ გამოცვიფდნენ. მართამ მომდერლებს დაუწყო თვალით ძებნა.

- ივლიანე კეჭაყმაძეს ხომ არ ეძებ, ნენა, თავის აფხანიკებით. იგინი აგერ მყავს ამ ყუთში დამწყვდეული; ხვალ დილამდე ასე მეყოლება, მერე ქე გუუშობ შინ, მხიარულად უთ-

ხრა კარლომ. მართამ ყუთს დააკვირდა, პირჯვარი გადაიწერა.

-დაგელოცა ღმერთო, სამართალი! იგი სწავლულები რას არ მეიგონებენ, ვინ გათხოვა, შვილო, აგი მარშინა, ვინ შევიდა ციცხლითაი სამოთხეში? ახლა კი მწამს, რომ კი იშოვნით ფარას, იმფერი უცხო საკრავი გაქვენ.

- ასეა, ნენა, ქვეყანაზე კეთილი კაცი არ მეისპობა, აგი მე ვიცოდი, ქალაქის თავს ქონდა. ბევრი გზობა მიყურებია ჭისკრიდან, ბალკონზე რომ უკრავდა. ერთი გზობა დამინახა და მიჩვენა. ახლა ვსთხუე და ქე მათხუა. მოდით და მეც მომილოცეთ გვითხრა.


- აცოცხლა ღმერთმა, ღვთის მშობელმა დედამ სიკეთე მისცა!

კარლომ კიდევ მომართა ყუთი და კიდევ ამდერა ალილო. აღტაცებული და განცვიფრებული მართა პირჯვარს იწერდა, ბავშვები თვალებ გაცეცებულები ძაბრში იცქირებოდნენ, ეგონათ ყუთში კაცებია და დავინახოთო.

- აბა, ნენა, სირცხვილი არ სჭამო, სიფთა შენ უნდა მოგვცე – გვეჩქარება. აქედან ნესტორისას მივალთ, იქიდან ფარანს და მგალობლების დასაბძანებელ სკამს წამევიდებთ. მართამ მისცა ნედტორს, რომელიც მებარგე – ხაზინადარად იყო, ორი შაური და ერთი ღვემელი.

- აბა, ნენა შენ არ შეგეშინოს, ჩვენ დილამდე ვერ მუალთ, რასაც მოასწრებო სუ უნდა დევიაროთ.

- კი, ნენა, კი შვილო, გენაცვალოს დედა-
შენი, აწი რადა უჭირს, ჩემო ნიკო, შენგან სი-
ცოცხლით დაობლებულ ბაღნებს, ამისთანა
ძმაი მოესწრო.



III

კარლომ და ნესტორმა მთელი დამე იარეს. გზაზე აედევნენ სოფლის ბავშვები, რომლებიც ბარგის ზიდვაში დიდის სიამოვნებით ეშველფ-ბოდნენ ჩვენს პატარებს, საცა მივიღნენ, ყველას ძლიერ ესიამოვნა მათი სტუმრობა. ზოგს მომდერალი ყუთი ჯერ არ ენახა და ძლიერ უკვირდა საჩუქარსაც უხვად იძლეოდნენ.

- ასეა, მმავ, ეკლის მონაჭერზე ეკალი ამ-უა, ნახავ თუ მაგ თითის სიგრძე ბაღანამ მამა-ზე შორს არ წევიდეს – შურით ამბობდნენ ზოგიერთი მეზობლები.

როცა სოფელი ჩამოიარეს, ჩვენი ცელქები ქალაქს ესტუმრენ; პირველად მიულოცეს პე-თილ, მოხუც ქალაქის თავს. ქალაქის თავმა სიამოვნებით მიიღო, დარიგება მისცა, ხმელი ხილით ჯიბეები გამოუტენა და თან სამი მანქ-თიც აჩუქა. ნიკოს პირადათ იცნობდა და პა-ტივს სცემდა, როგორც მოწინავე პატიოსან გლეხეს. გარდა ალილოს ფირფიტებისა, სამი სხვა ფირფიტა კიდევ ათხოვა, ასე რომ ახლა ჩვენი ჯადოსანი ყუთი, ალილოს გარდა, მღე-როდა “მასპინძელსა მხიარულსა ყავს სტუ-მრები საყვარლები”, “მელქისას ხელხვავს” და მკვირცხლ, სიცოცხლით სავსე “სასან ბეგუ-რას”.

მზე უკვე ამოსული იყო, როცა დადლილ-დაქანცული, უძილობით დათენთილი კარლო

და ნესტორი სახლში მოვიდნენ. მართა მხიარულად დახვდა, პირი დააბანინა, კარლოს მუცელზე სამჯერ მუცლის სალოცავი ღვეძელი შემოავლო და სამჯერ ასე უთხრა - “შენი მუცლის ტკივილი აღმა ქარს, დაღმა წყალსო”, მერმე ორივეს აჭამა ცხელი ღომი და შამფურზე შემწვარი ქათამი. ნესტორმა გრძელი ქისა (რომელიც პატარა პარქს უფრო ჰგავდა ვიდრე ქისას) მართას გადასცა. მართამ კალთაზე გადმოყარა ფულები და როცა ერთად ამდენი თეთრი და შავი ფული ნახა, ცრემლები ვერ შეიმაგრა, მივარდა კარლოს და ნესტორს, გულში ჩაიკრა და ორივე გატაცებით მხურვალედ გადაკოცნა.

სანამდე ბავშვები საჭმელს შეექცეოდნენ, მართამ თითო აბაზობით გადათვალა ფული, მერე ხუთ-ხუთი ერთად დააწყო, მთელი ღამის ნაშოვარი აღმოჩნდა სამი თუმანი, ორი მანეთი, სამი აბაზი და ორი შაური, მთელი ეს თანხა სამად გაანაწილეს. ერთი წილი მომდერალ ყუთს შეახვედრეს, ერთი მებარგე-მოლარე ნედტორს და ერთიც - პატარა ორგანიზატორ კარლოს, ესევე გაინაწილეს ღვეძლები და ხილი. ნესტორმა ყველას მადლობა გადაუხადა და სახლისკენ სიმღერით მოჰკურცხლა. კარლო კი დაწვა და მიიძინა.

როცა მხიარულმა მართამ და მეტად მხიარულმა მისმა შვილებმა სადილი სჭამეს, მათ ესტუმრა ნესტორის მამა, ნიკოს ამხანაკი იოს-

ებ თავის ნესტორით, კაცი კეთილი და შეგნებული. კარლო გადაკოცნა და დიდათ შეაქო, ყოჩადობისათვის, მერე მართას მიუბრუნდა და უთხრა:

- ჩემო რძალო, მე შენთან უკაცრავად ვარ, როგორც წესი და რიგი იყო, ის ევერ მოგხედვ, ვეფერი პატივი გეცი, მარა, იმედია, მოვესწრებით. ახლა ნუ იწყენ და მე და ჩემმა ნესტორმა ასე გადვწყვიტეთ, შენი შვილის წყალობით რომ წუხელის ამდენი ფული ერგო ნედტორს, იქიდანა ეს ერთი თუმანი ნიკოს გაუგზავნოთ ამ საკალანდოდთ, ვიცი, ეამება, არა ნესტორ?

- კი, ბაბა, კი, ნამეტარი კაი იქნება.

- დიდი მადლობელი ვარ, ჩემო იოსებ, დმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს. ყველა რომ შენისთანა ამხანაგი ყოლოდა ნიკოს, ან მე ან მას რა უჭირდა.

საღამო უამს უბრალო კრუჟკის ლამპის მკრთალ სინათლეზე კარლო წერილს სწერდა. აი შიგ რა ეწერა:

“ჩემო ძვირფასიო საყვარელო მამა!

“პირველად მოგიკითხავ და უთვალავ უანგარიშოს გაკოცებ, ჩვენ ყველანი ძლიერ კარგათ ვართ, მარა შენი უნახაობა ძლიერ გვაწუხებს. ახლა, ჩემო კარგო მამა, ამ საკალანდოთ გიგზავნით თუთხმებ მანათს. ამითგან თუმანს შენი ამხანაგის იოსების შვილი ნესტორი გიგზავნის და ხუთ მანათს მე. ჩვენ ალილოზე ვიყავით და იქინეი ვიშოვნეთ სამი თუმანი, ორი

მანეთი, სამი აბაზი და ორი შაური. გვიახლა
ივლიანე კეჭაყმაძე, დათიკო ბაბილოძე და ვარ-
ლამ სიმონიშვილი. ისინი მთელი დამე მომღვ-
რალ ყუთში გვყავდა, იგი ყუთი ჩვენმა კეთილ-
მა ქალაქის თავმა გვათხუა ტყუღლათაი, ნაშუა-
რი სამათ გავყავი, ორი წილი მე მერგო, ერთი
ნესტორს, ჩვენ ახლა აფერი არ გვაკლია საკა-
ლანდოთ. ერთ ნაზარდსაც*) ვიყიდით. ნენაი
კარგად არის და მანაც და ყველა ბალნებმა
მოგიკითხა და ათასობით გაკოცეს, მოგილო-
ცავთ ქრისტეს შობას და მომავალ ახალ წე-
ლიწადს.

შენი მოსიყვარულე შვილი კარლო.”



*)ნაზარდი - ბურვაკი



აპოლონ იოანეს ძე წულაძე (1884-1942) დაიბადა ოზურგეთის მაზრაში, სოფელ ჭანჭათში, მღვდლის იოანე წულაძის ოჯაში. გვარ წულაძის წარმოშობის შესახებ თავად წერდა:

„ჩემი ძვლები გურიაში ლორჯომიდან (სოფელი აჭარაში) გადმოსულან. ნამდვილად არ ვიცი ჩემი გვარი წუნაძე იყო თუ ტუნაძე, მაგრამ რადგან დოუკანდალი დოს ვწუნობ, მირჩევნია ვიყო წუნაძე და არა წულაძე.“

აპოლონ წულაძე იყო ავტორი პირველი კაპიტალური ნაშრომის მეფუტკრეობის შესახებ რომელმაც 1915 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო კავკასიურ გამოფენაზე ოქროს მედალი დაიმსახურა.

1927 წელს ივანე ჯავახიშვილის კონსულტაციებით მან წერილების სახით გამოსცა ნაშრომი „ეთნოგრაფიული გურია“, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ, 1971 (პირველი გამოცემა) და 2009 (მეორე გამოცემა) წელს წიგნადაც გამოიცა.

ISBN 978-9941-8-1466-2

© პმი-ს გამომცემლობა, 2019 წელი